თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის თავმჯდომარის

გულიკო ზუმბაძის

საქმიანობის ანგარიში 2016 წლის 1 ნოემბრიდან 2017 წლის 1 ნოემბრამდე

ზოგადი ინფორმაცია

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრი სამგორის №6-13 საარჩევნო ოლქიდან.
- სამაჟორიტარო ტერიტორია: ლილო, ორხევი, აეროპორტის დასახლება, წინუბანი, ნასაგური, დიდი ლილო, პატარა ლილო, ვარკეთილის დასახლება.
- 2014 წლის ივლისიდან დღემდე - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის თავმჯდომარე.

ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში, კომისიების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ:

საანგარიშო პერიოდში გულიკო ზუმბაძემ მონაწილეობა მიიღო:

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12 სხდომაში.
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 12 სხდომაში;
- ჯამში, წლის განმავლობაში საკრებულოს მიერ მიღებული იქნა 68 დადგენილება და 421 განკარგულება.
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის 15 სხდომაში. განხილული საკითხების რაოდენობა - 18.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის 7 სხდომაში. განხილული საკითხების რაოდენობა - 10:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წ ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (#04/18754; 04.11.2016) – 8 ნოემბერი, 2017 წელი;

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა (#04/19055; 15.11.2016); ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისის ღონისძიებების ცენტრის“ (ს/კ 404906170) ლიკვიდაციის თაობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (04/19195; 17.11.2016) – 18 ნოემბერი, 2017 წელი;
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (#04/20047; 09.12.2016) - 15 დეკემბერი, 2017 წელი;
4. ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წლიური ანგარიშის განხილვა 2016 წელს განხორციელებული სამუშაოების შესახებ - 23 იანვარი, 2017 წელი;
5. სსიპ ქალაქ თბილისის 9 საჯარო სკოლისათვის ნოდარ ახალკაცის სახელის მინიჭების თაობაზე (#06/298. 11.01.2017) -23 იანვარი, 2017 წელი;
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ 23 იანვარი, 2017 წელი;
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ივლისის N18-50 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (#04/2262; 17.02.2016) -23 იანვარი, 2017 წელი;
8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (#04/2339; 21.02.2017) – 23 თებერვალი, 2017 წელი;
9. სსიპ ქ. თბილისის 150-ე საჯარო სკოლისათვის ალექსანდრე ცინცაძის სახელის მინიჭების თაობაზე (#06/3220; 06/3809) – 28 აპრილი, 2017 წელი;
10. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"(04/8353;21.07.2017) – 27 ივლისი, 2017 წელი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის 15 სხდომა, რომელზეც განხილული იქნა 18 საკითხი:

1. **26.01.17** - 1. საქართველოს მთავრობის №1740 განკარგულებით დამტკიცებული „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2016 წლის სამოქმედო გეგმის" ფარგლებში, თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ (საფუძველი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 03.01.16 №06/21 წერილი). 2. სხვადასხვა.

   აღსანიშნავია, რომ ზ/ა სტრატეგიის ფარგლებში, კომისიამ 2016-2017 წლებში, შეიმუშავა ორი სამოქმედო გეგმა.

   2016 წლის 23 აგვისტოს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს გადაეგზავნა 2016 წლის სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიში, ხოლო მოგვიანებით წლიური ანგარიში.

   ქ-ნი გულიკო ზუმბაძე, აქტიურ მონაწილეობას იღებს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში და მის სხდომებში.

   თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ჩართულია ასევე სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სტაჟირების პროგრამაში, რომლის საფუძველზეც, საკრებულოში სტაჟირება გაიარა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით" (1+4 პროგრამით) მოსარგებლე 8 პირი (მათგან სამმა პირმა სტაჟირება გაიარა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიაში).

2. **02.02.17** - ქ.თბილისში, კ.მარჯანიშვილის ქ.№16-ში მცხოვრებ პირთა კოლექტიურ განცხადებასთან დაკავშირებით (წარმ: გულნარა შაროიანი; 802/18.01.17), ინფორმაციის მოსმენა ააიპ „თბილისის განვითარების ფონდსა" და განმცხადებლებს შორის მიმდინარე დავაზე.

   განმცხადებლების მხრიდან მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, იმავე დღეს, მოხდა ვითარების ადგილზე გაცნობა, რა დროსაც კიდევ

ერთხელ დადასტურდა, რომ ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის" მხრიდან სახეზეა გულგრილი დამოკიდებულება არსებული სიტუაციის გამოსწორების მიმართულებით. რასაც მოწმობს თუნდაც ერთ-ერთი მაცხოვრებლის ბინის აივანზე, უსაფრთხოების ნორმების დარღვევით განთავსებული გაზის მილი. კომისიამ სათანადო შუამდგომლობები გადააგზავნა როგორც თბილისის მერიაში, ისე თბილისის განვითარების ფონდში.

3. **03.02.17** - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (24.01.17, № 04/1082) განხილვა.

   კომისიამ პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე მოამზადა დასკვნა და მიაწოდა მოსაზრება რიგი საკითხების განსხვავებულად დარეგულირების შესახებ.

   მოგვიანებით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიამ, დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საკრებულოს კომისიების და ფრაქციების თავმჯდომარეებს, ასევე დამოუკიდებელ წევრებს გადაუგზავნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 03.02.17 №2-7 დადგენილება, თხოვნით, წარმოედგინათ წინადადებები და შენიშვნები, დადგენილებაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. რის შემდეგაც, ზ/ა ადრესატების მიერ მოწოდებული შენიშვნები გადაეგზავნა ქ.თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს.

4. **24.02.17** - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (21.02.17; №04/2339).

   სხდომის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს გადაეგზავნა კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე.

5. **28.02.17** - ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ ანგარიშის მოსმენა: I. ინფორმაცია შპს „დაგი"-ს მიერ განხორციელებული სამუშაოების შესახებ; II. ინფორმაცია შპს „ტრიჯიტი"-ს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შესახებ.

   კომისიამ მოსახლეობის საინიციატივო ჯგუფისა და კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით, მოისმინა ზ/ა კომპანიების მორიგი

ანგარიში ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

6. **23.03.17** - სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების დაკანონება, სხვა ალტერნატიული საცხოვრებლის არმქონე ფაქტობრივი მფლობელებისა და მოსარგებლეებისათვის: იამზე და დიმიტრი გვიდიანების განცხადებების განხილვა (23.01.17 №942; 25.01.17 № 02/1123) 1996 წლიდან მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული, თბილისში, ლილოს დას. მე-2 კვ 3ª, ბ.34-ში მდებარე უძრავი ქონების საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ.

   კომისიის წერილობითი შუამდგომლობით, საკითხის შესწავლა და განმცხადებლების კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება კიდევ ერთხელ ეთხოვა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“.

7. **28.04.17** – 1. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის საქმიანობის ანგარიშის მოსმენა 2017 წლის 1 იანვრიდან 25 აპრილის ჩათვლით. 2. კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვა.

   კომისიის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი მიიღეს ცნობად, ხოლო მეორე საკითხთან დაკავშირებით წარმოადგინეს საკუთარი მოსაზრებები განცხადებებში დასმული პრობლემის გადაჭრის მიმართულებით.

   <u>აქვე აღსანიშნავია, რომ ზ/ა განცხადებებთან დაკავშირებით, დაიგეგმა და 22 მაისს შედგა 2 სამუშაო შეხვედრა. ერთ-ერთი შეხვედრის საფუძველზე, მიღწეული იქნა შეთანხმება, ისანში, ბერი გაბრიელ სალოსის №161-ში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნისათვის შესაბამისი პროცედურების დაწყების შესახებ (გამგეობამ დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები სპეციალური ლიფტის მოწყობის მიზნით).</u>

8. **23.05.17** - ააიპ „სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალური ცენტრის“ ანგარიშის მოსმენა.

   ცნობად იქნა მიღებული ცენტრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

9. **12.06.17** - ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ ანგარიშის მოსმენა: I. ინფორმაცია შპს „დაგი“-ს მიერ განხორციელებული სამუშაოების შესახებ; II. ინფორმაცია შპს „ტრიჯიტი“-ს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შესახებ.

შპს „თბილსერვის ჯგუფსა“ და კომპანიას „დაგი“ ეთხოვათ ახალი გეგმა გრაფიკის წარმოდგენა („თბილსერვის ჯგუფმა“ შეცვლილი გრაფიკი კომისიას წარმოუდგინა 26 ივნისს).

10. **06.07.17** - თბილისის ტერიტორიაზე მდებარე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების აღრიცხვა/სისტემატიზაციისათან და შემდგომ კანონიერ სარგებლობაში ფაქტობრივ მფლობელთათვის გადაცემასთან დაკავშირებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

    კომისიამ ცნობად მიიღო წამოდგენილი ინფორმაცია და ამასთან, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ გადაეგზავნა წერილობითი მოთხოვნა, სხდომაზე დასმულ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით.

11. **13.07.17** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ანგარიშის მოსმენა, უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

    წარმოდგენილი ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად.

12. **20.07.17** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში თბილისის მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის მომსახურეობის ობიექტების ამოქმედების მიმართულებით მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

    მომზადდა და კომისიის პოზიცია საკითხის მოგვარების მიმართულებით, გადაეგზავნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების სამინისტროს და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას.

13. **25.07.17** - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (21.07.2017; 04/8353).

    ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს გადაეგზავნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის დასკვნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების

შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (21.07.17; №04/8353) დადგენილების პროექტზე.

14. **17.08.17** – 1. შპს „კა დე ვე ჯორჯიას“ ანგარიში ნარჩენების გადამამუშავებელ ქარხანასთან დაკავშირებით განხორციელებული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ; 2. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის პროექტის პრეზენტაცია.

    კომისიამ ცნობად მიიღო წარმოდგენილი ინფორმაცია.

15. **28.09.17** – 1. თბილისის ტერიტორიაზე მდებარე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების აღრიცხვა/სისტემატიზაციისათან და შემდგომ კანონიერ სარგებლობაში ფაქტობრივ მფლობელთათვის გადაცემასთან დაკავშირებით განხორციელებული/განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ; 2. თბილისის მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის მომსახურეობის ობიექტების ამოქმედების მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

    1.ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიამ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოითხოვა დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც სსიპ „ქონების მართვის სააგენტომ“ დაიწყო თბილისის ტერიტორიაზე მდებარე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების აღრიცხვა/სისტემატიზაციის და და შემდგომში კანონიერ სარგებლობაში ფაქტობრივ მფლობელთათვის გადაცემის პროცესი.

    2.სხდომის საფუძველზე მომზადდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომლითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალება, უმოკლეს ვადებში, ჯანდაცვის პირველადი მომსახურეობის ობიექტების ამოქმედებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნა, კონკრეტული წინადადებების შემუშავება და საკრებულოსთვის წარმოდგენა.

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაეგზავნება წერილობითი თხოვნა ჯანდაცვის პირველადი მომსახურეობის ობიექტების ამოქმედებასთან დაკავშირებით თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ პოზიციისა და რეკომენდაციების წარმოდგენის მიზნით.

<u>ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის მიერ მომზადებული მნიშვნელოვანი დოკუმენტები:</u>

- **საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №1740 განკარგულებით დამტკიცებული დოკუმენტის - „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 2015-2020 წწ სამოქმედო გეგმა" ფარგლებში, შემუშავდა თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სამოქმედო გეგმა:**

  2017 წლის 31 იანვარს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს გადაეგზავნა კომისიის მიერ საკრებულოსა და მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით შემუშავებული, თბილისის 2017 წლის სამოქმედო გეგმა.

  გეგმის შემუშავების მიზნით, გაიმართა არაერთი თემატური შეხვედრა მერიის შესაბამის საქალაქო სამსახურებთან. გეგმის საბოლოო ვერსია შესასრულებლად გადაეგზავნა ასევე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

  მიმდინარე წლის 26 ივნისს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში გადაიგზავნა 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში.

  გეგმით გაწერილია არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომლებიც ხელს უწყობენ/შეუწყობენ თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინტეგრაციის პროცესს.

- **მომზადდა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს გადაეგზავნა „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ" ევროპული ჩარჩო კონვენციის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების ანგარიში. მოგვიანებით, სახელმწიფო მინისტრის აპარატში გადაიგზავნა დამატებითი ინფორმაცია „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის" განხორციელების შესახებ, მესამე ციკლის მონიტორინგის ფარგლებში, სამინისტროს მიერ მომზადებულ ანგარიშთან დაკავშირებით.**

- **მომზადდა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე) გადაეგზავნა „2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 24 ივნისის №5602-IIს დადგენილებით მუნიციპალიტეტის ორგანოების მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში.**

4. მემორანდუმები და თანამშრომლობა სხვა უწყებებთან:

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიასა და ააიპ „ინტეგრალური ურთიერთობების განვითარების ცენტრს“ შორის, მიმდინარე წლის 31 მარტს გაფორმდა მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ.

მოქალაქეთა მიღება თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში:

მოცემული პერიოდის განმავლობაში, კომისიის თავმჯდომარე და სამდივნოს თანამშრომლები როგორც დაგეგმილი, ისე დაუგეგმავი ვიზიტის ფარგლებში შეხვდნენ დაახლოებით 85 მოქალაქეს და გაუწიეს სათანადო დახმარება (მათ შორის: იურიდიული კონსულტაცია).

სატელეფონო კონსულტაცია (როგორც სამსახურის, ისე პირადი ტელეფონების მეშვეობით) გაეწია 187 მოქალაქეს.

საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიაში შემოვიდა 166 განცხადება, მათ შორის:

- 38 განცხადება - თვითნებურად დაკავებული ფართების დაკანონების, ბინის ქირით უზრუნველყოფისა და საცხოვრისით უზრუნველყოფის თხოვნით;
- 34 განცხადება - ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თხოვნით;
- 20 განცხადება - სამართლებრივ დავებზე;
- 10 განცხადება - ცალკეულ უწყებებში დასაქმების თხოვნით;
- 16 განცხადება - ერთჯერადი ფულადი დახმარების აღმოჩენის თხოვნით;
- 10 განცხადება - სამშენებლო დავების მოგვარების თხოვნით;
- 5 განცხადება - დევნილთა საკითხებზე;
- 8 განცხადება - სოციალური სტატუსის აღდგენის და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები;
- სხვა.

განცხადებების საფუძველზე, კომისიის მიერ მომზადებული შუამდგომლობები გადაგზავნილი იქნა კომპეტენტურ უწყებებში, რის შემდეგაც მათი მხრიდან განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

განცხადების სპეციფიკიდან გამომდინარე (ხშირ შემთხვევაში სამშენებლო ან/და სამეზობლო დავა), მითითებული ფაქტების დეტალურად გადამოწმებისა და ადგილზე შესწავლის მიზნით, სამდივნოს თანამშრომლები ადგილზე გაეცნენ არსებულ ვითარებას (სულ: 42 შემთხვევა).

კომისიის მიერ სხვადასხვა უწყებებიდან, როგორც განცხადებების საფუძველზე, ისე ცალკეულ შემთხვევაში საკუთარი ინიციატივით გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია/გაიგზავნა შეკითხვა და ინიციატივა (61 შემთხვევა).

11 შემთხვევაში მოხდა საჯარო ინფორმაციის გაცემა.

ჩატარდა სამუშაო შეხვედრები როგორც საკრებულოში, ისე საკრებულოს შენობის გარეთ (სულ: 18 შეხვედრა).

ინფორმაცია ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ:

ამომრჩეველთა მიღება მაჟორიტარის ოფისში (2016 წ. ნოემბერი -2017წ. ოქტომბრის ჩათვლით):

- მიღების დღე - ყოველი კვირის ოთხშაბათი;
- მაჟორიტარი დეპუტატის ოფისმა მიიღო - 363 მოქალაქე;
- დეპუტატს განცხადებით მიმართა - 196 მოქალაქემ;
- მაჟორიტარი დეპუტატი პირადად შეხვდა - 217 მოქალაქეს;
- დეპუტატის გასვლითი შეხვედრები მოეწყო - 45 მისამართზე;
- მაჟორიტარების ოფისის თანამშრომლების ადგილზე გასვლა მოხდა - 57 მისამართზე;
- სატელეფონო კონსულტაცია გაეწია -960-მდე მოქალაქეს.

სამაჟორიტარო ოლქში შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, სხვადასხვა მიმართულებით:

- სოფელ წინუბანში საბავშვო ბაღის აღდგენა/რეკონსტრუქცია, ოფიციალურად გაიხსნა 2017 წლის ოქტომბერის თვეში;
- ორხევის დასახლებაში ყოფილი ავტობაზა „ტურისტის“ ავარიული შენობიდან დევნილი ოჯახების გაყვანა და დაკმაყოფილება ალტერნატიული საცხოვრებელი ფართებით;

- ორხევის დასახლებაში #107 მიკროავტობუსის დანიშვნა, სატრანსპორტო პრობლემის ნაწილობრივ მოგვარების მიზნით;
- #37-ე ავტობუსის ღამის საათებში მოძრაობის გაგრძელება (მარშუტი: აეროპორტიდან ვაგზლის მოედნამდე);
- სამაჟორიტარო ოლქში მოძრავი ყველა საქალაქო ავტობუსების სამუშაო დროის ნახევარი საათით გახანგრძლივება;
- ორხევის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მშენებლობაში ხელშეწყობა;
- **ლილოს დასახლებაში** საგზაო სამუშაოები შესრულდა 25 მისამართზე, წყალსადენების სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდა 3 მისამართზე, საკანალიზაციო ქსელების სამუშაოები განხორციელდა 7 მისამართზე, სპორტული მოედნები მოეწყო 2 მისამართზე, სკვერები 5 მისამართზე, ფანჩატურები 12 მისამართზე, მოსაცდელები 2 მისამართზე, გაზიფიცირება 43 მისამართზე;
- **ორხევის დასახლებაში** საგზაო სამუშაოები შესრულდა 16 მისამართზე, წყალსადენების სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდა 3 მისამართზე, საკანალიზაციო სამუშაოები განხორციელდა 6 მისამართზე, მოეწყო სკვერი თეთრიხევის დასახლებაში, ორ მისამართზე დამონტაჟდა გარე განათების ბოძები, მოეწყო მოსაცდელი #56 ავტობუსის გაჩერებაზე, განხორციელდა გამწვანებითი ღონისძიება ცენტრალური სკვერის ტერიტორიაზე;
- **აეროპორტის დასახელებასა და ქვემო ალექსეევკაში** - საგზაო სამუშაოები შესრულდა 14 მისამართზე; წყალსადენების სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდა 4 მისამართზე, სპორტული მოედნები მოეწყო - 2 მისამართზე; პანჩატურები - 3 მისამართზე; 30-ე კორპუსის მიმდებარედ მოეწყო მგზავრთა მოსაცდელი;
- **შემოერთებულ ტერიტორიებზე** **დიდი და პატარა ლილო, ნასაგური, წინუბანი, ვარკეთილის მეურნეობა** - საგზაო სამუშაოები შესრულდა 26 მისამართზე; საკანალიზაციო ქსელების მოწყობა განხორციელდა 2 მისამართზე, სპორტული მოედნები მოეწყო - 4 მისამართზე; პანჩატურები - 9 მისამართზე, გაზიფიცირება 31 მისამართზე, შემოერთებულ ტერიტორიებზე არსებული ეკლესიების დაფინანსება - ჯამში **196 885** ლარით;

სამაჟორიტარო ოლქის სამომავლო პრიორიტეტები:

- პირველადი ჯანდაცვის ობიექტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- საგარეუბნო აგროპოლიკიტის შექმნა, შემოერთებული სოფლებისთვის სასოფლო-სამეურნეო და სააგარაკე სტატუსის შენარჩუნება;
- განახლება სარწყავი სისტემის და აგრარული საწარმოების ხელშეწყობა;
- ბეტონის ქარხნის მშენებლობის შეჩერება წინუბნის დასახლებაში;
- გზებისა და სკვერების კეთილმოწყობა;
- საკანალიზაციო პრობლემის გადაჭრა შემოერთებულ ტერიტორიებზე (ალექსეევკასა და ლილოს დასახლებაში საკანალიზაციო ქსელის ახლიდან მოწყობა);
- ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა ქვემო ალექსეევკაში, ლილოს დასახლებასა და ვარკეთილის მეურნეობაში;
- ახალგაზრდული ცენტრების შექმნა დასახლებების მიხედვით,;
- ხელმისაწვდომი სპორტული და კულტურული წრეები, საცურაო აუზის მოწყობა ლილოს დასახლებაში,
- კახეთის გზატკეცილზე სპორტული კომპლექსის მოწყობა;
- სათანადო საცხოვრებელი პირობების შექმნა;
- საკუთრების უფლების მოკლე ვადაში გადაწყვეტა;
- საინვესტიციო პოლიტიკაში ეკოლოგიურად უსაფრთხო სტანდარტების დანერგვა;
- ქალთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტივობების ხელშეწყობა;

ინფორმაცია საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ:

1. **თანამშრომლობა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან:**

   - ✓ სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის წევრი.

- ✓ საქმიანობის მიზანი: დოკუმენტის - „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია, 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა“ - შემუშავება.

- ✓ 2017 წლის სამუშაო გეგმის შემუშავება ადგილობრივი თვითთმართველობის ფარგლებში.

2. **თანამშრომლობა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან:**

- სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების რეგულარული მონაწილეობა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის მიერ ორგანიზებულ სხდომებში.
- დეპუტატის მონაწილეობა სახალხო დამცველის ოფისის მიერ ორგანიზებულ ან თანამონაწილეობით განხორციელებულ შეხვედრებსა და კონფერენციებში.

3. **თანამშრომლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან:**

- სამუშაო შეხვედრები ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან დავით ნარმანიასთან ცალკეულ პრობლემატური საკითხების გადაჭრის გზებთან დაკავშირებით.

- მონაწილეობა თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ან მერიის მიერ ინიცირებულ/დაგეგმილ ღონისძიებებში.

- სამუშაო შეხვედრა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სატრანსპორტო სამსახურის ხელმძღვანელობასთან, სამაჟორიტარო ოლქში მუნიციპალურ ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან დაკავშირებით.

- შეხვედრები თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბაგა/ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელობასთან სკოლამდელ აღზრდის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

- შეხვედრები თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქაალქო სამსახურის უფროსთან დედაქალაქში დადეგმილი გამწვანებით ღონისძიებებთან დაკავშირებით.

- შეხვედრები თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელთან.

4.თანამშრომლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობასთან:

o სამუშაო შეხვედრები ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობასთან სამაჟორიტარო ოლქის საკითხების განხილვისა და პრობლემების მოგვარების მიზნით.

მნიშვნელოვანი საკითხები: ინფრასტრუქტურა, სოციალური დახმარებები, სპორტული და კულტურული ღონისძიებები და სხვა.

5. თანამშრომლობა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებასთან:

o პროფესიული კავშირების წარმომადგენლების და კომისიის თავმჯდომარის რეგულარული შეხვედრები,მხარეებს შორის, 2016 წელს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, გაერთიანების მონაწილეობა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის მიერ ორგანიზებულ სხდომებში ერთობლივ დაინტერესებაში შემავალ საკითხებზე.

საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა:

- გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) სამუშაო ჯგუფის (WPLA) მიერ ორგანიზებულ მე-10 სესია - 8-9 მარტი, 2017 წელი, ჟენევა, შვეიცარია;
- ევროპის კატასტროფის შემცირების ღია ფორუმი - 26-28 მარტი, 2017 წელი, სტამბოლში, თურქეთში;
- შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების მიზნით, ვიზიტი ისრაელში სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების დელეგაციის წევრის ეგიდით - 4-10 ივლისი, იერუსალიმი, ისრაელი;

შეხვედრები და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი

მიძღვნილი ოფიციალური მიღება, ფოტოკონკურსში „ჩვენი მრავალფეროვანი სამშობლო“ გამარჯვებულთა დაჯილდოება და ვიდეორგოლის პრეზენტაცია - 16 ნოემბერი, 2016 წელი;

- საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილი“ - ქართული ბრენდის რიგით მე-14 დაჯილდოება - 22 დეკემბერი, 2016 წელი;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის გასვლით სხდომა - თემები: „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიისა და 2016 წლის სამოქმედო გეგმის“ შესრულების ანგარიში, ასევე, 2017 წლის სამოქმედო გეგმა და სხვა მიმდინარე საკითხები - 13-15 მარტი, 2017 წელი;
- პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის სამუშაო შეხვედრა - საბჭოს 2017 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი და საკონსულტაციო ჯგუფის საქმიანობის მუშაობა - 16 მარტი, 2017 წელი;
- ღონისძიება - თანასწორი შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში - საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის სამჭოს პატრონაჟით - 17 მარტი, 2017 წელი;
- ენერგოომბუდსმენის 2016 წლის ანგარიშის მოსმენა - 2016 წლის ანგარიში ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მომხმარებელტა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ - 11 აპრილი, 2017 წელი;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის სხდომა - თემა: „საქმოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2016 წლის სამოქამედო გეგმის“ შესრულების ანგარიშის წარდგენა - 21 აპრილი, 2017 წელი;
- აბრეშუმის გზის მე-12 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თემა: „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა თანამედროვე გამოწვევები რეგიონალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების ჭრილში“ – 19 მაისი, 2017 წელი;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის სხდომა - თემა: „სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება და მშობლიური ენების სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ – 24 მაისი, 2017 წელი;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებული ღონისძიება - სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული სტაჟიორებისთვის სერთიფიკატების გადაცემა - 26 სექტემბერი, 2017 წელი;

თბილისის საკრებულოში გამართულ და ინიცირებულ ღონისძიებებში მონაწილეობა:

- ფოტოხელოვანი ბადრი ვადაჭკორიას ახალი ალბომის პრეზენტაცია - 8 თებერვალი, 2017 წელი;
- ბაგა-ბაღების ახალ სტანდარტზე მომუშავე ჯგუფის გაფართოებული შეხვედრა - 10 თებერვალი, 2017 წელი;
- მიხეილ მესხის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით დემიკო ლოლაზის წიგნის პრეზენტაცია - 5 ივნისი, 2017 წელი;
- დედა-შვილის თინიკო თევდორაძისა და სალომე ოსაძის ერთობლივი ნამუშევრების გამოფენა - 23 ივნისი, 2017 წელი;
- საკრებულოში დედაქალაქის მიწათსარგებლობის განახლებული გენერალური გეგმის პრეზენტაცია -18 ივლისი, 2017 წელი.

სამაჟორიტარო ოლქში ჩატარებულ და გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობა:

- აეროპორტის დასახლებაში, 76-ე საჯარო სკოლაში შემოქმედებით ღონისძიება „ჩვენ მომავალი საქართველო ვართ“ – 2 ივნისი, 2017 წელი;
- საქნავთის დასახლებაში # 116 საბავშვო ბაღში გამოსაშვები ღონისძიება - 13 ივნისი, 2017 წელი;
- ნასაგურში საბავშვო ბაღში გამოსაშვები ღონისძიება - 20 ივნისი, 2017 წელი;
- ორხევის დასახლებაში # 76 საბავშვო ბაღში გამოსაშვები ღონისძიება - 21 ივნისი, 2017 წელი;
- ლილოს დასახლებაში # 111 საბავშვო ბაღში გამოსაშვები ღონისძიება - 21-22 ივნისი, 2017 წელი;
- ვარკეთილის მეურნეობის საბავშვო ბაღში გამოსაშვები ღონისძიება - 24 ივნისი, 2017 წელი;
- აეროპორტის დასახლებაში # 12 საბავშვო ბაღში გამოსაშვები ღონისძიება - 27 ივნისი, 2017 წელი;
- დიდი ლილოს საჯარაო სკოლაში სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებული ღონისძიება - 15 სექტემბერი, 2017 წელი;

საკრებულოს წევრის ინიციატივით განხორციელებული ღონისძიებები:

- ლილოს მიუსაფართა თავშესაფარში ვიზიტი და სიტუაციის ადგილზე გაცნობა - 31 იანვარი, 2017 წელი;
- ორხევის დასახლებაში, კომპანია ფუდმარტში ვიზიტი და საქმიანობის ადგილზე გაცნობა - 28 აპრილი, 2017 წელი;

- საჯარო ლექცია დავით აღმაშენებლის აკადემიაში თემაზე: ,,გავიგოთ მეტი ჩვენი უფლებების შესახებ“ – 18 მაისი, 2017 წელი;
- გამწვანების აქცია ორხევის დასახლებაში, დაირგო 200 დე ძირი კვიპარისის ნერგი, ორხევის ცენტრალურ სკვერში - 25 მაისი, 2017 წელი;
- ორხევში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის პრეზენტაცია - 19 ივნისი, 2017 წელი;
- ისრაელის დელგაციის სტუმრობა საკრებულოში - 3 ივლისი, 2017 წელი;
- ვარკეთილის დასახლებაში (ვარკეთილის მეურნეობა) სოციოლოგიური კვლევების პრეზენტაცია - 14 ივლისი, 2017 წელი;
- საპატიო თბილისელის ლამარა აბაშმაძის მონახულება და 90 წლის იუბილეს მილოცვა - 1 აგვისტო, 2017 წელი;
- თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე მიმდინარე სამუშაოების დაათვალიერება, საინიციატივო ჯგუფთან ერთად - 10 აგვისტო, 2017 წელი;
- თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე მიმდინარე სამუშაოების დაათვალიერების მეორე ეტაპი საინიციატივო ჯგუფთან ერთად - 22 სექტემბერი, 2017 წელი;
- შპს ,,კა დე ვე ჯორჯიას“ ანგარიში ნარჩენების გადამამუშავებელ ქარხანასთან დაკავშირებით განხორციელებული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - 17 აგვისტო, 2017 წელი;
- საკრებულოში მასპინძლობა - ქართველი ებრაელი, კომპოზიტორი და ცნობილი შემსრულებელი ბადრი ჯანაშვილი - 26 აგვისტო, 2017 წელი;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიაში, სტაჟირების პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისათვის სერთიფიკატების გადაცემა - 11 სექტემბერი, 2017 წელი;
- საბავშვო ანსამბლი ,,გვირილა“ საკრებულოშ - 14 სექტემბერი, 2017 წელი;

ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა:

- პროექტის ,,გარე ავლაბრის ქალაქმშენებლური განვითარება“ დასკვნითი გამოფენა და გერმანელი ექსპერტების პრეზენტაციები - 12-14 ნოემბერი, 2016 წელი;

- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - დისკუსია ,,საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის“ – 7 დეკემბერი, 2017 წელი;

- არასამთავრობო ორგანიზაციების „მზის შვილები“, მზის სივრცე“ იუბილე - 9 დეკემბერი, 2016 წელი;
- სოციალური საწარმოს „ბაბალეს“ ერთი წლის შემაჯამებელი მუშაობის პრეზენტაცია - 12 დეკემბერი, 2016 წელი;
- სრულიად საქართველოს ღთისშვილთა კავშირი (ინვალიდთა ასოციაცია) - „სოციალური სოლიდარობა შშმ პირთა არაფორმალური განათლებისა და დასაქმებისათვის“ – 15 დეკემბერი, 2016 წელი;
- სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია „ისრაელი და თანამედროვეობა“ – 21 დეკემბერი, 2016 წელი;
- საქართველოს პროფესიული კავშირების გაერიანების წლიური ანგარიში - 28 დეკემბერი, 2016 წელი;
- საქართველოს ქალთა საბჭოს 2015-2016 წლის ანგარიში - 31 იანვარი, 2017 წელი;
- ააიპ „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“- ღონისძიება „მშობელთა მოძრაობა 20 წლისაა“, რომელიც ეძღვნება ორგანიზაციის დაფუძვნების 20 წლის იუბილეს - 21 თებერვალი, 2017 წელი;
- საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდის დაფუძვნებიდან 4 წლის იუბილე - 3 მარტი, 2017 წელი;
- სამართლის კლინიკის პრეზენტაცია საქართველოს უნივერსიტეტში - 19 აპრილი, 2017 წელი;
- საქართველოს სახალხო დაცველის მიერ ორგანიზებული საერთაშირისო კონფერენცია „ადამიანის უფლებათ ადაცვის მრავალმანდატიანი ეროვნული ინსტიტუტების ევოლუცია და გამოწვევები“ – 19 აპრილი, 2017 წელი;
- საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით საზეიმო მიღება - 19 აპრილი, 2017 წელი;
- ბაგა ბაღების ფესტივალი „პატარა ხელებით“, ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა - 5 მაისი, 2017 წელი;
- ავტომუზეუმში განახლებული ავტომობილების პრეზენტაცია - 14 მაისი, 2017 წელი;
- მედიათეკის გახსნა ნაძალადევის რაიონში - 18 მაისი, 2017 წელი;

- ქისტური პოეზიის საღამო- „საქართველო ქისტი პოეტების შემოქმედებაში“ – 18 მაისი, 2017 წელი;
- თემურ ჩალაბაშვილის სემოქმედებითი საღამო და წიგნის პრეზენტაცია - 29 მაისი, 2017 წელი;
- სამგორის რაიონის გამგეობასთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს სხდომა, საზოგადოებრივი საბჭოს რიგით მე-7 გაფართოებული სხდომა რაიონში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით - 30 მაისი, 2017 წელი;
- მხატვარ ანზორ თოდრიას პერსონალური გამოფენა - 1 ივნისი, 2017 წელი;
- არასამთავრობო ორგანიზაცია „ეი დი სი“, ბავშვთა დაცვის კვირეულისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 2 ივნისი, 2017 წელი;
- ქართულ-ებრაულ მუზეუმში წიგნის „საქართველოს ებრაელთა პოეზიის ანთოლოგია“ პრეზენტაცია - 27 ივნისი, 2017 წელი;
- ქისტური ფოლკლორისა და ხელოვნების ნიმუშების გამოფენა კონცერტი - 28 ივნისი, 2017 წელი;
- არასამთავრობო ორგანიზაცია "დემოკრატიული განვითარებისა და ინიციატივების ცენტრის" ორგანიზებით, ფესტივალი "ხელოვნება გვამეგობრებს" – 1 ივლისი, 2017 წელი;
- მწერალ ჯუბა ჯუღელის საიუბილეო საღამო - 8 აგვისტო, 2017 წელი;
- გადათხრის გარეშე კომუნიკაციების შეცვლის ახალი ტექნოლოგიის პრეზენტაცია - 26 აგვისტო, 2017 წელი;
- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-10 საერთაშორისო ფორუმი - 13 სექტემბერი, 2017 წელი;
- გამოფენა თბილისი-ურბანული ცვლილებები - 22 სექტემბერი, 2017 წელი;

თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მათ მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა:

- საქართველოს სახალხო დამცველისა და დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის მიწვევით საერთაშორისო კონფერენცია - „ბიზნესი და ადამიანის უფლებები, საქართველოს გამოწვევები და პერსპექტივები“ – 31 ოქტომბერი - 1 ნოემბერი, 2016 წელი;

- დასკვნითი კონფერენცია - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი - „მინიმალური ხელფასის პოლიტიკის შესაბამისობის შემოწმება საქართველოს სოციალურ ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო ვალდებულებების ჭრილში“ – 4 ნოემბერი, 2016 წელი;

- საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის პრეზენტაცია, UNICEF - ის წარმომადგენლობა საქართველოში - 21 ნოემბერი, 2016 წელი;

- NDI და შვედეთის საელჩო, კონფერენცია „გავიმარჯვოთ ქალებთან ერთად - გავხადოთ პოლიტიკა უფრო ინკლუზიური“ – 9 დეკემბერი, 2016 წელი;

- NDI-ს ტრენინგ კურსები „ონლაინ კომუნიკაცია“ – 10 დეკემბერი, 2016 წელი;

- UNICEF - გაეროს ბავშვთა ფონდის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 12 დეკემბერი, 2016 წელი;

- NDI - კონფერენცია „მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება ადგილობრივ თვითმმართველობაში“ – 27 იანვარი, 2017 წელი;

- შეხვედრა ნორვეგიის ადგილობრივ თვითმართველობათა ასოციაციის წარმომადგენელთან - განსახილველი საკითხი: ადგილობრივი თვითმმართველობა - 1 თებერვალი, 2017 წელი;

- ნორვეგიის ადგილობრივ თვითმართველობათა ასოციაცია - კონფერენცია „ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში - ევროპული ქარტიის პრინციპები - 13 თებერვალი, 2017 წელი;

- UNICEF - უნისეფის, ევროკავშირისა და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ღონისძიება- სოციალური ცვლილებეისკენ მიმართული საკომუნიკაციო კამპანიის პრეზენტაცია, რომელიც ორიენტირებულია შშმ პირების მიმართ საზოგადოებაში არსებული მაღალი სტიგმის წინააღმდეგ - 23 თებერვალი, 2017 წელი;

- ქალთა საინფორმაციო ცენტრი,გაეროს განვითარების პროგრამა, შვედეთის მთავრობა - კონფერენცია „ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვა“ – 31 მარტი, 2017 წელი;

- საქართველოსა და ინდოეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 26 ივნისი, 2017 წელი;
- NDI - საქართველოს საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის ყოველწლიური კონფერენცია - 3 ივლისი, 2017 წელი;

ბრიფინგები,პრესკონფერენციები, სატელევიზიო ეთერები და ა.შ.:

- საზოგადოებრივი რადიოს გადაცემა ,,ღია სტუდია" გოგი ჩოკოშვილთან ერთად - თემა: დეპუტატის წლიური ანგარიში მოსახელობას, საკრებულოს საქმიანობის პრიორიტეტები - 3 ნოემბერი, 2016 წელი;
- პრესკონფერენცია - პორტალი ,,კვირას" პრესკლუბი -თემები: ტოლერანტობის საერთაშორისო დღე - ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემები;
- თბილისის 2017 წლის ბიუჯეტი, საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის რეკომენდაციები, საბინაო პრობლემატიკა (მათ შორის, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულები და უსახლკაროები);
- შშმ პირების უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები - 16 ნოემბერი, 2016 წელი;
- პრესკონფერენცია - პორტალი ,,პირველი" პრესკლუბი - თემა: დედაქალაქის 2017 წლის ბიუჯეტი - 17 ნოემბერი, 2016 წელი;
- პრესკონფერენცია - პორტალი ,,კვირას" პრესკლუბი - თემა: ,,ბავშვთა სამყაროში" გაჩენილი ხანძარი - 1 თებერვალი, 2017 წელი;
- ჩართვა ტელეკომპანია ,,ობიექტივის" პირდაპირ ეთერში - თემა: თბილისის განვითარების ფონდთან პრობლემები, მარჯანიშვილის ქუჩა 16 ის მაცხოვრებლების განცხადება - 2 თებერვალი, 2017 წელი;
- ინტერვიუ სააგენტო ,,მეტრონომთან" - თემა: 13-14 ივნისის სტიქია და ნაზღაიძის საქმე - 6 თებერვალი, 2017 წელი;
- სატელევიზიო ჩართვა - ტელეკომპანია ობიექტივი - თემები: ბავშთა სამყაროში ხანძრის დროს დაზარალებულების თემა და გარევაჭრობა - 20 მარტი, 2017 წელი;
- პრესკონფერენცია – პორტალ "კვირას" პრესკლუბი - თემები: ბავშვთა სამყაროში ხანძრის დროს დაზარალებულების თემა და გარევაჭრობა - 22 მარტი, 2017 წელი;
- პირველი არხის რადიოს გადაცემა,,ღია სტუდია" - ბავშვთა სამყაროში ხანძრის დროს დაზარალებულების თემა და გარევაჭრობა - 23 მარტი, 2017 წელი;

- პრესკონფერენცია – პორტალ "კვირას" პრესკლუბი - თემა: დედაქალაქის მერის 2016 წლის ანგარიში;
- პრესკონფერენცია – პორტალ "კვირას" პრესკლუბი, თემა: დედაქალაქის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონი - 16 ივნისი, 2017 წელი;
- პრესკონფერენცია – პორტალ "კვირას" პრესკლუბი, თემა: უსახლკაროთა რეგისტრაცია და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფა - 14 ივლისი, 2017 წელი;
- TV 1-ის გადაცემაში ,,საქმიანი დილა" - თემა: უსახლკაროთა რეგისტრაცია და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფა ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის განვითარების გეგმა - 19 ივლისი, 2017 წელი;
- საზოგადოებრივი რადიოს გადაცემა ,,ღია სტუდია" გოგი ჩოკოშვილთან ერთად, თემა: უსახლკაროთა რეგისტრაცია და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფა - 19 ივლისი, 2017 წელი;
- პრესკონფერენცია – პორტალ "კვირას" პრესკლუბი, თემა: პირველადი ჯანდაცვის ობიექტების (პოლიკლინიკების) ხელმისაწვდომობა შემოერთებულ ტერიტორიებზე - 21 ივლისი, 2017 წელი;
- ბრიფინგი საკრებულოში - წინუბნის დასახლებაში ბეტონის ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით - 4 სექტემბერი, 2017 წელი;
- პრესკონფერენცია – პორტალ "კვირას" პრესკლუბი, თემა: ,,მოსახლეობის პროტესტი ბეტონის ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით და 1 ლარად გასხვისებული ქონება" – 5 სექტემბერი, 2017 წელი;
- ბრიფინგი პირველადი ჯანდაცვის სერვისის ხელმისაწვდომობაზე - 14 სექტემბერი, 2017 წელი.